ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ღირსება
თავისუფლება
თანასწორობა

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები" **www.barristers.ge**

ა.ა. #204

საქართველოს იუსტიციის მინისტრს,
ქალბატონ **თეა წულუკიანს**

ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატები"
თბილისი, საბურთალო, ვაზისუბნის ქუჩა #7

მიმართვა

(ეკლესიასთან დადებულ კონსტიტუციურ შეთანხმებასა და შრომის კოდექსს შორის არსებული ხარვეზის შესახებ)

ქალბატონო თეა,

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები" მზადყოფნას გამოთქვამს მონაწილეობა მიიღოს საქართველოს შრომის კანონმდებლობის შემდგომ დახვეწაში, რომელიც საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უზრუნველყოფს და საკანონმდებლო წინადადების სახით წარმოადგინოს კოდექსში შესატანი ცვლილებები, რომელიც აღმოფხვრის ხარვეზსს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არსებულ კონსტიტუციურ შეთანხმებასა და მოქმედ შრომის კოდექსს შორის. მიგვაჩნია, რომ შრომის კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა, თუმცა კანონმდებლობის დახვეწა მუდმივი პროცესია და მნიშვნელოვანია, ამ პროცესში გაზიარებულ იქნეს სამოქალაქო ინიციატივები და არასამთავრობო ორგანიზაციათა პოზიცია.

„ახალგაზრდა ადვოკატების" შეფასებით, მოქმედი შრომის კოდექსი ეწინააღმდეგება ეკლესიასთან დადებულ კონსტიტუციურ შეთანხმებას (კონკორდატი) და სამართლებრივ ხარვეზსს ქმნის. საუბარია უქმი დღეების რეგულირების საკითხზე, რომელსაც შრომის კანონმდებლობა ადგენს და ცდება კონსტიტუციურ შეთანხმებაში მითითებულ იმ ჩამონათვალს, რომელიც შრომის კანონმდებლობას უნდა გაეთვალისწინებინა.

„საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის" არსებული კონსტიტუციური შეთანხმებით, მხარეებს მიღწეული აქვთ შეთანხმება, ისეთ საკითხზე, როგორიც არის დასვენების დღეები. კერძოდ კონკორდატით დიდი საეკლესიო დღესასწაულები და კვირა დღეები გამოცხადებულია დასვენების დღეებად. კონსტიტუციური შეთანხმებით, დიდ საეკლესიო დღესასწაულებად მიჩნეულია:

Tbilisi, Georgia, Saburtalo, Vazisubani str. #7 551 081803
pryoungbarristers@gmail.com; pryoungbarristers@yahoo.com

1. წმიდა ნინოს ხსენების დღე (27 იანვარი);
2. მირქმა მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი (15 თებერვალი);
3. ხარება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა (7 აპრილი);
4. სააღდგომო დღეები – დიდი პარასკევი, დიდი შაბათი,
5. აღდგომის კვირადღე (გარდამავალია);
6. ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი (გარდამავალია);
7. საქართველოს ეკლესიის, როგორც სამოციქულო საყდრის, დამაარსებლის – წმიდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე (12 მაისი);
8. ფერისცვალება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი (19 აგვისტო);
9. შობა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისა (21 სექტემბერი);
10. მსოფლიო ამაღლება პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჯვრისა (27 სექტემბერი);
11. ტაძრად მიყვანა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისა (4 დეკემბერი).

ორგანიზაციის შეფასებით, მოქმედი შრომის კოდექსის მე-20-ე მუხლით, რომლითაც განსაზღვრულია უქმე დღეები, დასვენების დღეებად, კონკორდატით გათვალისწინებული დიდი საეკლესიო დღესასწაულებიდან მხოლოდ სააღდგომო დღეები და 12 მაისი - საქართველოს ეკლესიის, როგორც სამოციქულო საყდრის, დამაარსებლის – წმიდა ანდრია მოციქულის ხსენების დღეა აღიარებული.

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს შრომის კოდექსი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციური შეთანხმებით განსაზღვრულ პირობებს, ვინაიდან კონსტიტუციური შეთანხმება იერარქიულად ორგანულ კანონზე მაღლა მდგომი ნორმატიული აქტია, დღეს არსებული რეალობა კი ცალსახად მიუთითებს, რომ მოქმედი შრომის კოდექსის მე-20-ე მუხლი წინააღმდეგობაში მოდის კონკორდატთან.

გარდა ამისა, ორგანიზაცია დაინტერესებულია შრომის კანონმდებლობის გაჯანსაღებით და ამ მიმართულებით, 2013 წლის 28 მაისს, საკანონმდებლო ორგანოს საკანონმდებლო წინადადებაც წარუდგინა. კერძოდ, მოსაზრება შეეხებოდა კოდექსის 29–ე მუხლს „ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებას".

ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა არსებითი ცვლილებები შევიდეს შრომის კანონმდებლობაში და ახლებურად დარეგულირდეს შემდეგი საკითხები:

1. ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ხანგრძლივობა და
2. ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურების წესი (რომლის ყოველთვიური ოდენობაც, ჩვენი აზრით, არ შეიძლება იყოს დასაქმებულის შრომის ანაზღაურების სამოც პროცენტზე ნაკლები)

ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატების" რეკომენდაციას საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მხრიდან არავითარი დაინტერესება/გამოხმაურება არ მოყოლია. რაიმე სახის პოზიტიური ცვლილება, 29–ე მუხლთან მიმართებით, არც კოდექსში შესულა.

მოგმართავთ და ვიმედოვნებთ, რომ კანონმდებლობის დახვეწის მეორე ეტაპზე, სხვა მნიშნელოვან საკითხებთან ერთად, მუშაობა განახლდება ქალთა უფლებების მეტი გარანტოებისთვის და განხილვის საგანი გახდება კანონმდებლობაში უქმე დღეების კუთხით არსებული მდგომარეობა.

ორგანიზაცია გამოთქვამს სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობის სურვილს, მიესალმება თქვენს ყველა მნიშვნელოვან ინიციატივას და იმედოვნებს, რომ პროექტის: „ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებასტან" ფარგლებში, დიალოგი იქნება სასარგებლო და პოზიტიური.

პატივისცემით,

მარიკა არევაძე
ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატების"
თანადამფუძნებელი და ხელმძღვანელი

29 აგვისტო, 2013

ქ. თბილისი